

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა
სოციალური დაცვის ღონისძიებები

„საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და
ასაკობრივი ნაკრების წევრთა, მწვრთნელთა,
ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისა
და პერსპექტიულ სპორტსმენტთა
სტიპენდიების“

პ რ ო გ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს წამყვანი სპორტსმენებისათვისა და მწვრთნელებისათვის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორებისათვის, საქართველოს ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებისა და პრიზიორებისათვის, ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრები გუნდების წევრებისა (მათ შორის ნატურალიზებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა პროგრამაში მონაწილეთათვის) და კანდიდატებისათვის, ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისათვის, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის თანამედროვე მოთხოვნების საწვრთნელი პროცესის წარმართვაში ხელის შეწყობა, ცხოვრებისა და მატერიალური პირობების გაუმჯობესება სტიპენდიების გაცემით. სტიპენდია ენიშნება როგორც ოლიმპიური, ისე არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებს სპორტული ფედერაციების და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარდგინებით.

მიუხედავად ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი დაფინანსებისა, საქართველოში ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის და რაგბის სახეობების გარდა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საკლუბო სისტემა. სპორტსმენები, მწვრთნელები, ექიმები და ნაკრებების მომსახურე პერსონალი, რომელთა ყოველდღიური სრულყოფილი საქმიანობის გარეშე წარმოდგენელია რაიმე სახის წარმატების მიღწევა, მუშაობენ ანაზღაურების გარეშე. მათ მიერ წვრთნებისა და შეჯიბრებების დროს დახარჯული ენერჯის აღდგენისათვის ესაჭიროებათ მაღალკალორიული კვება, აღდგენითი საშუალებები, მედიკამენტები და სხვა. სტიპენდიების პროგრამით სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტის მუშაკთა ანაზღაურების ნაწილობრივ კომპენსაციას.

სტიპენდიის დანიშვნის პირობები

I. სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სპორტსმენის შედეგების, დასახული ამოცანების, სპორტული დატვირთვებისა და პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაბამისი ფედერაციის ან/და ეროვნული ოლიმპიური (პარაოლიმპიური) კომიტეტის წარდგინების საფუძველზე.

II. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, პრიზიორს და მონაწილეს სტიპენდია ენიშნებათ ოლიმპიური ციკლის განმავლობაში (*შენ.: შეიძლება მოეხნათ მე-10 პუნქტის თანახმად*).

III. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს (დიდები და ასაკობრივი), ასევე ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სტიპენდია ენიშნებათ ტიტულის ფლობის განმავლობაში (*შენ.: შეიძლება მოეხნათ მე-10 პუნქტის თანახმად*).

IV. სტიპენდია ენიშნებათ მხოლოდ მოქმედ სპორტსმენებს, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების წევრებს (მ/შ ნატურალიზებულ სპორტსმენებს განსხვავებული ოდენობით), ასევე პერსპექტიულ სპორტსმენებს, მწვრთნელებს და ადმინისტრაციულ პერსონალს შესაბამისი ფედერაციის ან/და სეოკის წარდგინების მიხედვით.

V. განსაკუთრებული წარმატებების მქონე და მომავალი წარმატებების მხრივ ყველაზე პერსპექტიულ სახეობათა ფედერაციების ადმინისტრაციულ პერსონალს (მ/შ ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებს) სტიპენდია ენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამავე დროს ითავსებენ თავიანთ სახეობებში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მენეჯერებისა და კოორდინატორებს ფუნქციას და მნიშვნელოვანი პიროვნული წვლილი შეაქვთ შეჯიბრებებისათვის ნაკრებების მომზადებაში და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

VI. საექიმო პერსონალს სტიპენდია ენიშნება საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის წარდგინების საფუძველზე.

შენიშვნა:

1. მხოლოდ შესაბამისი ფედერაციების წარდგინებების საფუძველზე, დანართში მითითებულ სახეობებში სპორტსმენებსა და მწვრთნელებს სტიპენდია ენიშნებათ IV ქვეპუნქტისა და დანართი №1-ის თანახმად.

2. გარდა ამ პროგრამით დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული ყოველთვიური სტიპენდიისა, ფედერაციის ან/და სეოკის (პარაოლიმპიური) წარდგინების საფუძველზე, გამონაკლისის წესით შესაბამის თვეში სპორტსმენს ერთჯერადად შეიძლება მიეცეს (ჯამში ყოველთვიური სტიპენდიის თანხასთან ერთად) დამატებითი თანხა,

მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებზე აღნიშნულ სპორტსმენთა ღირსეული გამოსვლის გათვალისწინებით და მომავალი შეჯიბრებების წინ მათთვის სტიმულის მიცემის მიზნით.

სტიპენდიის დანიშვნის წესი

სპორტსმენთა (როგორც ნაკრებების წევრების, ისე პესპექტიულების), მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის სტიპენდიების დანიშვნა ხდება ფედერაციების ან/და სეოკის (პარალიმპიური) ყოველთვიური წარდგინებების (თანხის მითითებით) მიხედვით, სამინისტროს სპორტის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის დასკვნის (მოხსენებითი ბარათის სახით) საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის სტიპენდიატა სია. გარდა ამისა, სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ყოველ სამ ან ექვს თვეში გადაიხედოს კონკრეტული სტიპენდიატისათვის სტიპენდიის მიცემის საკითხი, მე-10 პუნქტისა და ასევე წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

სტიპენდიის მოხსნის წესი

სტიპენდიის შეწყვეტა (მათ შორის დანართში მითითებულ სახეობებშიც) ხდება ფედერაციის ან/და სეოკის წარდგინების საფუძველზე. გარდა ამისა, ფედერაციის ან/და სეოკის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტიპენდიის შეწყვეტა ხდება სტიპენდიატის მიერ სპორტული (მათ შორის ტრამვის გამო) ან სამწვრთნელო კარიერის დასრულების, აკრძალული ნივთიერებების მიღებაში მხილების, გუნდებისათვის საექიმო მომსახურების შეწყვეტის და სპორტსმენების მიერ შესაბამის სახეობაში დადგენილი რეჟიმისა და დისციპლინის დარღვევის გამო, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის, ასევე სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობის ან სხვა ქვეყნის ნაკრები გუნდის გაწვრთნის ან საექიმო მომსახურების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სტიპენდიატის მიერ ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ჩადენილი უღირსი საქციელის გამო, ასევე მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (სიმძიმეიდან გამომდინარე) ზომების გატარების შემთხვევაში.

დ ა ნ ა რ თ ი #1

I. ძიუდოში, თავისუფალ და ბ/რ ჭიდაობაში სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის სტიპენდიების დანიშვნის წესი

1. ძიუდოში, თავისუფალ და ბ/რ ჭიდაობაში სპორტსმენებს სტიპენდია ენიშნებათ შემდეგი წესით:

ა) დიდებში:

ოლიმპიური თამაშები

I ადგილი - 5000 ლარი;

II ადგილი - 3600 ლარი;

III ადგილი - 2400 ლარი.

მსოფლიოს ჩემპიონატი

I ადგილი - 2000 ლარი;

II ადგილი - 900 ლარი;

III ადგილი - 700 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი ან ევროპის თამაშები

I ადგილი - 1000 ლარი;

II ადგილი - 700 ლარი;

III ადგილი - 500 ლარი.

საქართველოს ჩემპიონატი: (შენიშვნა: ძიუდოს შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ეროვნულ ჩემპიონატს გათანაბრებულ სარეიტინგო ტურნირებში დაგროვილი ქულების ჯამი, ხოლო ერთნაირი სარეიტინგო ქულების შემთხვევაში ფედერაციის წარდგინებით, ჭიდაობის (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული) შემთხვევაში მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის შესაბამისად):

ძიუდო, ჭიდაობა (თავისუფალი, ბ/რ ჭიდაობა):

I ადგილი - 700 ლარი;

II ადგილი - 500 ლარი;

III ადგილი - 300 ლარი;

ძიუდო, ჭიდაობა (თავისუფალი, ბ/რ ჭიდაობა):

ბ) ახალგაზრდებში:

მსოფლიოს ჩემპიონატი

I ადგილი - 500 ლარი;

II ადგილი - 300 ლარი;

III ადგილი - 200 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი

I ადგილი - 300 ლარი;

II ადგილი - 200 ლარი;

III ადგილი - 150 ლარი.

გ) ჭაბუკებში:

მსოფლიოს ჩემპიონატი

I ადგილი - 400 ლარი;

II ადგილი - 200 ლარი;

III ადგილი - 100 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი

I ადგილი - 200 ლარი;

II ადგილი - 150 ლარი;

III ადგილი - 100 ლარი.

შენიშვნა: I. „ა“, „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა არ დაკმაყოფილების მიუხედავად, სტაბილური ასპარეზობისათვის და სამომავლო პერსპექტივისათვის და ასევე წარსული მიღწევების გათვალისწინებით სპორტსმენს შეიძლება გამოწვევის წესით დაენიშნოს ან შეუნარჩუნდეს გარკვეული ოდენობის სტიპენდია;

II. ძიუდოში გუნდურ პირველობაში მოპოვებული მედლისათვის, სპორტსმენს ასევე ენიშნება იგივე ოდენობის სტიპენდია, როგორც ამ დანართის პირველი პუნქტით არის განსაზღვრული.

III. პერსპექტიულ სპორტსმენებს (მათ შორის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის მზადების პროგრამის მონაწილე სპორტსმენებს, მწრთნელებს და პროგრამის ხელმძღვანელებს) სტიპენდია ენიშნებათ ფედერაციების წარდგინებების მიხედვით.

2. ძიუდოსა და ჭიდაობაში (თავისუფალი, ბ/რ ჭიდაობა) ნაკრებების მწვრთნელების და ასევე ადმინისტრაციული პერსონალის სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება ფედერაციის წარდგინების შესაბამისად.

3. ძიუდოსა და ჭიდაობაში (თავისუფალი, ბ/რ ჭიდაობა) ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული შედეგები გათანაზრებულია ევროპის თამაშებზე მიღწეულ შედეგთან.

2. პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები: დაწყება- 01.01.2017 დამთავრება - 31.12.2017.

3. საერთო ღირებულება

საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების პროგრამის ასიგნების წლიური თანხა შეადგენს 4 800 000 ლარს.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

1. მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

საქართველოს წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა, ნაკრებების მომსახურე პერსონალის ცხოვრების პირობების და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევას და სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას, მომავალ თაობებში სპორტის მიმართ ინტერესის და მოტივაციის ზრდას.

ინდიკატორები:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა;

კატეგორიის მიხედვით ბენეფიციარისთვის გაცემული სტიპენდიის ოდენობა;

ბენეფიციარების სპორტული მიღწევები (მოპოვებული სპორტული ჯილდოები, შეჯიბრებებზე დაკავებული პოზიციები);